№ 00000592

12/09/2024

ბრძანება №592
შპს „თეგეტა აკადემიაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის, პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

პროცედურა.02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გაუქმდეს შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის 2023 წლის 22 მარტს დამტკიცებული ბრძანება №434[1] , შპს „თეგეტა აკადემიაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შერჩევის პროცედურის, პროგრამის შემუშავების ინსტრუქციისა და დამტკიცების წესი და დამტკიცდეს ახალი რედაქციით წინამდებარე ბრძანების დანართი №1 - ის შესაბამისად.

2. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. დაევალოს შპს „თეგეტა აკადემიის“ საქმისწარმოების სპეციალისტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
სიხარულიძე ოთარი

დანართი N1

შპს „თეგეტა აკადემიაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის, პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურა

თავი I. პროფესიული პროგრამის დაგეგმვისა და შერჩევის პროცედურები

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი და ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზს, უახლესი კვლევის შედეგებს, აგრეთვე შესაბამის დასაბუთებას.

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს:

კვოტის გათვალისწინებით პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების შესაძლო რაოდენობა, განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია, რაც უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულებაში მოქმედ რეგულაციას, ასევე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები. დუალური პროგრამის დაგეგმვის შემთხვევაში საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება.

მუხლი 2. პროფესიული პროგრამის შერჩევის პროცედურა

1. აკადემიის მიერ, აკადემიის მისიითა და სტრატეგიული გეგმით წინასწარ განსაზღვრულია შესაბამისი მიმართულებებით პროგრამების განხორციელება.

2. კონკრეტული პროგრამის შერჩევა ხდება პროგრამის სპეციფიკის, აკადემიაში არსებული მატერიალური რესურსის რაოდენობის და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის, ასევე, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასწავლო გეგმების აგების თავისებურებების, ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.

3. პროგრამის განხორციელების მიდგომები ფიქსირდება კონკრეტული პროგრამ(ებ)ის სასწავლო გეგმასა და აკადემიასა და შესაბამის საწარმოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში განსაზღვრული უნდა იყოს:

ა) პროგრამის სახელწოდება;

ბ) სარეგისტრაციო ნომერი;

გ) პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით;

დ) მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია;

ე) საკანონმდებლო ბაზა;

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;

ზ) კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები;

თ) პროგრამის მიზანი;

ი) სწავლის შედეგები;

კ) პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა;

ლ) პროგრამის სტრუქტურა და მოდულები;

მ) პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება;

ნ) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება;

ო) საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც მემორანდუმების მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ასევე უნდა დაერთოს:

ა) სასწავლო გეგმა;

ბ) ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;

გ) მოდულები;

მუხლი 4. პროგრამის სახელწოდება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება უნდა დაემთხვეს ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას.

მუხლი 5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით.

მუხლი 6. სწავლის შედეგი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

მუხლი 7. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდები განსაზღვრულია პროგრამის წინასწარ დამტკიცებული მოდულებით.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოიაზრებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას.

3. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

მუხლი 9. სასწავლო გეგმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმა მოიცავს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ ყველა ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს, აგრეთვე დაწესებულების მიერ განსაზღვრულ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არჩევით მოდულებს შესაბამისი კრედიტების მითითებით. დუალური პროგრამის შემთხვევაში სასწავლო გეგმა პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობით უნდა შედგეს და შეთანხმდეს შესაბამისი წესით;

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების წინაპირობები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში მოდულზე დაშვების წინაპირობები მითითებულია კონკრეტულ მოდულებში.

მუხლი 11. ადამიანური რესურსი

პროგრამას/მოდულებს თან ერთვის ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. პროგრამის განმახორციელებლები წინასწარ შეირჩევიან შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

მუხლი 12. პროგრამის ხელმძღვანელი

1. პროგრამას ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი;

2. პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს პროგრამის კორექტირების და განვითარების პროცესებს, უზრუნველყოფს მის საჯაროობასა და გამჭვირვალობას, აგრეთვე ამ პროცესებში პროფესიული განათლების მასწავლებლების, მოწვეული სპეციალისტების, დამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობას.

3. პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხია პროფესიულ სტანდარტებთან/ჩარჩო დოკუმენტებთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობა.

4. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს პასუხისმგებელ და საკონტაქტო პირს მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი საორგანიზაციო, ტექნიკური თუ კონცეპტუალური ხასიათის პრობლემის წამოჭრისას.

5. პროგრამის ხელმძღვანელს ევალება მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს მათთვის საჭირო ინფორმაცია და გაუწიოს მათ კონსულტაცია, მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და შეასრულოს ყველა სხვა ვალდებულება, რომელიც გაწერილია ამ პოზიციის სამუშაო აღწერილობაში.

თავი III. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა

მუხლი 13. პროგრამის შემუშავება

1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება დაწესებულების შესაბამისი პროფილის მქონე პერსონალის მიერ დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით.

2. შემუშავებული პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად და საბოლოო დასკვნისთვის გადაეცემა თეგეტა აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერს.

მუხლი 14. პროგრამის განხილვა

ხარისხის მართვის მენეჯერი ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან და, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, მათი აღმოფხვრის მიზნით, უბრუნებს პროგრამის ხელმძღვანელს, ხოლო ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი წერილობითი დასკვნის მიღების შემთხვევაში პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს თეგეტა აკადემიის დირექტორს.

მუხლი 15. პროგრამის დამტკიცება

ხარისხის მართვის მენეჯერის დასკვნის გათვალისწინებით პროგრამას ამტკიცებს თეგეტა აკადემიის დირექტორი და გამოსცემს შესაბამის აქტს.

თავი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურა

მუხლი 16. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება

1. აკადემიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით.
3. პროგრამების შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს აკადემიის დირექტორს.
4. წარდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ან/და დაიგეგმოს შემდგომი განვითარების ღონისძიებები.

მუხლი 17. პროგრამაში ცვლილების შეტანა

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგად, ჩარჩო დოკუმენტში/საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, საკანონმდებლო ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია აკადემიის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პირს.
3. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ცვლილება მტკიცდება აკადემიის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.
4. პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია სამუშაო ჯგუფის შექმნა.
5. დუალურ პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აუცილებელია პროცესში ჩართული იყოს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი და არსებობდეს შესაბამისი სახის შეთანხმება პროგრამაში ცვლილების თაობაზე.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

მუხლი 18. პროგრამის გაუქმება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;

ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება პროფესიული სტანდარტის გაუქმების შესახებ;

გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა;

დ) პროგრამაზე აპლიკანტთა დაბალი მომართვიანობა;

ე) სხვა ობიექტური გარემოება.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას და მათი შემდგომი განათლებისათვის ყველა აუცილებელი ღონისძიების გატარებას.

3. პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უფლება სწავლა დაასრულონ მილევად რეჟიმში და მიიღონ ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, აკადემია ხელს უწყობს სტუდენტთა მობილობის პროცესს, რისთვისაც უზრუნველყოფს მსგავსი პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულების/შესაბამისი პროგრამის მოძიებას და აფორმებს ხელშეკრულება/მემორანდუმს. აღნიშნულის შემდგომ აკადემია სთავაზობს სტუდენტებს იმავე ან სხვა დაწესებულებაში გადასვლის შესაძლებლობას, წარუდგენს ამისთვის დადგენილ ვადებსა და პირობებს და უზრუნველყოფს ამისათვის ყველა საჭირო ღონისძიების გატარებას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გამოიცემა აკადემიის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და წერილობით ეცნობება სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე დამსაქმებელს/პარტნიორ კომპანიას.